

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

ოილ მაქს

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს ოილ მაქს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	38,568	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,568	-	-
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,446,219	338,732	222,527
სავაჭრო მოთხოვნები		3,256,989	1,621,078	(0)
გადახდილი ავანსები		-	44,318	-
სხვა მარაგები	10	2,256,668	1,477,293	4,997
სხვა მიმდინარე აქტივები		52,932	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		7,012,809	3,481,421	227,523
მთლიანი აქტივები		7,051,377	3,481,421	227,523
მთლიანი კაპიტალი				
კაპიტალი		386,627	386,627	129,292
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,649,822	1,306,944	6,433
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		2,036,449	1,693,571	135,725
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ანარიცხები		-	-	-
მიღებული სესხები		4,273,479	1,663,394	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		4,273,479	1,663,394	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		696,208	85,474	85,630
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
მიღებული ავანსები		45,241	30,966	-
საგადასახადო ვალდებულებები		(0)	8,015	6,168
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
სხვა ვალდებულებები		-	-	-

სულ მოკლევადიანი
ვალდებულებები

741,449 124,455 91,798

მთლიანი ვალდებულებები
მთლიანი კაპიტალი &
ვალდებულებები

5,014,928 1,787,849 91,798
7,051,377 3,481,421 227,523

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2021	2020
ამონაგები			
	5	42,406,442	38,775,801
თვითღირებულება		(40,498,590)	(37,128,230)
საერთო მოგება		1,907,852	1,647,571
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		-	-
	6	(574,244)	(225,310)
მიწოდების დანახარჯები		-	-
კურსთაშორის სხაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		5,279	1,386
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		1,338,886	1,423,647
ფინანსური შემოსავალი		3,579	4,525
ფინანსური ხარჯი		(237,104)	(112,924)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	7	-	-
მოგება დაბეგვრამდე		1,105,361	1,315,248
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,105,361	1,315,248
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,105,361	1,315,248

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	129,292	6,433	135,725
წმინდა მოგება		1,315,248	1,315,248
გაცემული დივიდენდი		14,737	14,737
საწესდებო კაპიტალის ზრდა	257,335		257,335
საწესდებო კაპიტალის შემცირება			-
2020 წლის 31 დეკემბერი	386,627	1,306,944	1,693,571
წმინდა მოგება		1,105,361	1,105,361
გაცემული დივიდენდი		762,483	762,483
საწესდებო კაპიტალის ზრდა			-
საწესდებო კაპიტალის შემცირება			-
2021 წლის 31 დეკემბერი	386,627	1,649,822	2,036,449

დირექტორი

გივი ლომინაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	342,878	1,300,511
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	-	-
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(966,585)	(1,634,585)
მარაგები	(779,375)	(1,472,296)
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(52,932)	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(8,015)	1,846
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,464,029)	(1,804,524)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(38,568)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(38,568)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	257,335
სასესხო ვალდებულების ზრდა	2,610,084	1,663,394
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,610,084	1,920,729
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	1,107,487	116,205
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	338,732	222,527
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრების და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1,446,219	338,732

დირექტორი

გივი ლომინაშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოილ მაქს (საიდენტიფიკაციო ნომერი 430039059) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ზესტაფონის რ-ნი სოფელი მეორე სვირი. ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი ფონიჭალის დასახლება ცოტნე დადიანის 6. საწარმო დაფუძნებულია 100 პროცენტით ფიზიკური პირი გივი ლომინაშვილის მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ნავთობ პროდუქტების შეძენა და რეალიზაცია.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა-ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სადრიცხო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი არ კაპიტალიზდება და არ ზრდის აქტივის ღირებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა
საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალოს უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

შენიშვნა 5		
ამონაგები	2021	2020
შემოსავალი		
რეალიზაციიდან	42,306,184	38,682,719
სხვა საოპერაციო		
შემოსავლები	100,258	57,143
	42,406,442	38,739,862

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს, ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

შენიშვნა 6		
ზოგადი და აღმინისტრაციული ხარჯი	2021	2020
შრომის ანაზღაურება	211,926	56,383
საპენსიო დანარიცხები	3,492	870
საიჯარო ქირა	78,840	45,378
კომუნიკაციის ხარჯები	312	232
საწვავის ხარჯები	152,226	60,835
რემონტის ხარჯები	53,352	32,853
საკონსულტაციო ხარჯები	3,500	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,330	-
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	1,000	-
საბანკო ხარჯები	48,949	27,535
სხვა საერთო ხარჯები	19,319	1,212
7491 ჯარიმა	-	13
სულ	574,244	225,310

შენიშვნა 7		
ფინანსური ხარჯი	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	236,515	96,484
არასაოპერაციო ზარალი	-	16,440
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	550	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	39.3	-
სულ	237,104	112,924

შენიშვნა 8
ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 2020 წლის 01 იანვრის		
მდგომარეობით	-	-
დამატება		-
გასვლა		-
ღირებულება 2021 წლის 01		
იანვრისთვის	-	-
დამატება	39898	39,898
გასვლა		-
ღირებულება 2021 წლის 31		
დეკემბრისთვის	39,898	39,898
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 01 იანვრის		
მდგომარეობით	-	-
ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31		
დეკემბრისთვის	-	-
ცვეთა	1330	1,330
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31		
დეკემბრისთვის	1,330	1,330
საბალანსო ღირებულება 20210 წლის 31		
დეკემბრისთვის	-	-
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31		
დეკემბრისთვის	38,568	38,568

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

შენიშვნა 9	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	166304	331,317
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	370077	7,389
აშშ დოლარი USD რეზიდენტ ბანკში	909839	26
სულ	1,446,219	338,732

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორი

